


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობიც ბეჭდ-  
ვები სიფყვას, ფყილებით და ჭაბჭობით ბუბ-  
თის გატანა ყველა უკადრისმდებელ უსამაგლესია.

სამშაბათი, 12 აპრილი. 2016 წ. №67 (7959), გამოცემის 98-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## ენდა, ესეც შენი ენდიაი!..



**კოპატივით  
თვალსაზრის  
ხელისუფლებას,  
გაბგებავინეთ  
საქართველოს  
მოსახლეობას, ვისი  
მუშაობით გა-  
ნიხილავს ეს ეგრეთ  
წოდებული NDI ჩვენი  
ქვეყნის სოციალურ-  
ეკონომიკურ-პოლი-**

**ტიკური ანატომია? და როგორ აღვივებთ ეს მთელი  
ერის გადარსებებისათვის დასკვნები – დიაგნოზად თუ  
პროგნოზად?**

როგორც კი ქვეყანაში სახელისუფლოდ არჩევენ-  
ბის არცთუ სასიამოვნო სუნი დგება, და არსებუ-  
ლი ხელისუფლება მაინცდამაინც ბუღა არ  
ახედა ამ წინასწარჩვენო უსიამოვნო სუნის  
დაგმვებულ საქართველოს ფაქტობრივად და-  
ვატრონებულთ, NDI, ანუ ამერიკის ნაციონალურ-  
დემოკრატიული ინსტიტუტი, უმაღლესი სოციალურ-  
ეკონომიკურ-პოლიტიკური კვლევისთვის სავალე  
სამუშაოებს მთელი საქართველოს მასშტაბით  
იწყებს, და ყოველ ასეთ ამჟამად ტენდენციურ  
კვლევას იმ უფსკრულის პირას მივყავართ,  
რომლის პირასაც ავირ უკვე 25 წელიწადია,  
გზლისგან თითქმის თავდადებულნი, ქართველი  
ხალხი ჩვენდა გადარსებებულად, შესაბამის  
ყანაში გზლისფარ კაღლს ვეთაბავებით.

უამოსხანებულ კვლევებს (ამ ჩვენს გათავსო-  
ვებულ თუ გათავსავლეთელად ინსტიტუტის-  
სას) თურმე შვედეთის საერთაშორისო განვითარ-  
ებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)  
აფინანსებს, ჩატარებით კი CRRC-საქართველო  
ათარებს (ეს CRRC-საქართველო არის არასამთავ-  
რობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი,  
დაფუძნებული 2003 წელს ევრაზიის თანამშრომ-  
ლობის ფონდის მიერ ნიუ-იორკის კონგრესის  
კორპორაციის დაფინანსებით).

აი, ხელავ, ისეც ჩვენდა დიდად საფუხაროდ,  
მთელ ამ პოლიტიკურ სიბღლისვანჯარაში ბოლომ-

ად გაურკვეველ საქართველოს მოქალაქე, რა  
მილიონები ტრიალებს იმ საჰაეროგზის დასაფი-  
ნანსებლად, რათა CRRC-ის საჯარო მონაცემთა  
ბაზაზე ვითომ ყველას მოგვცეს შესაძლებლობა,  
გავიგოთ და შევფასოთ სოციალური და პოლი-  
ტიკური ტენდენციები როგორც საქართველოში,  
ასევე მთელ სამხრეთ კავკასიაში (ასეთი კვლევის  
ცენტრები NDI-ის აზერბაიჯანსა და სომხეთშიც  
ვქონია).

ამჟამად კვლევისათვის სავალე სამუშაოები  
23 თებერვლიდან 14 მარტის პერიოდში ჩატარდა  
მთელ საქართველოში 3,900 პირისპირ ინტერვიუს  
წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე.

**ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, გვინდა,  
ვიცოდეთ, ვინ არიან ის ალაშიანები, ვინც ამ  
კვლევებს ატარებს, ასევე გვინდა, ვიცოდეთ, ვინ  
არის ისინი (ის 3, 900 ალაშიანი), ვისი პასუხების  
მიხედვითაც საქართველო არასწორი მიმართულე-  
ბით ვითარდება და, როგორც ეს ახალი ანალიზი  
გვიჩვენებს, თუ 2016 წლის ოქტომბერში ქვეყნის  
სათავიში ისევე დამნაშავე ნაციონალიზმი არ აღმოჩ-  
ნდნენ, ქვეყნის დაღუპვა გარდაუვალია (ამ ანალი-  
ზის მიზანსაც სწორად ეს არის).**

იმაღლა, ოცნების ხელისუფლებას, ნაციონალე-  
ბისგან უნებლო და უსწარო ხელისუფლებად  
მონათლულს, იმის ნიათი და უსწარი მაინც აღმო-  
აჩნდება, რომ ხალხს ერთხელ მაინც წესიერად და  
განსაზღვრულ განუხარტოს, რა უნდა ამ NDI-ის  
ჩვენთან, და თუ მართლა კარგი უნდა, რატომ არ  
გვიჩვენებს მიზანს, რად ვითარდება ქვეყანა  
არასწორი მიმართულებით? ეს არასწორი მიმარ-  
თულება კი რატომ მიდის სწორად დამნაშავე  
ნაციონალიზმისკენ, რომელთაც თავიანთი ფიუ-  
რითან ერთად დღემდე პასუხი არ უბიათ ათწ-  
ლიანი ბოროტმოქმედებებისთვის?!

**ანდა ნუთუ ჩვენ თვითონ არა გვაქვს ჩვენი ქვეყნისა  
და ჩვენი მსოფლიო საზოგადოებრივი მიტენიერ-  
ებად გაანალიზების თავი?**

**რატომ შვედეთში სხვათა ანდამგარ აუხარად  
ტენდენციურ, გვირგვინ თვალსაზრისით სააქვო ანალიზს  
დარბიბ, მონური თვალბაბით?**

## დღეს მუხრან მაჭავარიანის დაბადების დღეა



### სან ლურჯათი! – სან მერნითა!

რუსეთიც და ამერიკაც  
დროა, –  
ჩახედეს რამერიგად:  
საქართველო  
კუნძულია  
კი არაა რომელიღაც!  
საქართველო  
ქვეყანაა, –  
იმერთა, – ამერთა!  
მზისკენ  
ისრებრ  
მიწყვი  
მფრენი,  
სან ლურჯათი! –  
სან მერნითა!

### ჯერ კიდევ როდის!


ჯერ კიდევ როდის  
გვიხდინენ ბოდიშს!  
ჯერ კიდევ როდის  
ფოთობდა ფოთი!  
ჯერ კიდევ როდის  
იწერებოდი  
„წამებაჲ წმიდის შუშანიკისა!“  
– ნუღარ იკითხავ!

ჯერ კიდევ როდის  
მღეროდა შოთა!  
ჯერ კიდევ როდის  
გაიძახოდა:  
„სჯობს სიცოცხლესა!“  
ჯერ კიდევ როდის!

### საქმე იმიტომ უფროა ცუდად....

არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“  
უარყოფითი დაპარგა უღერა!  
არა იმიტომ, რომ თუ სარ სუფთა, –  
შენსაგით მტერმა იცხოვრა შენმა! –  
საქმე იმიტომ უფროა ცუდად,  
რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!

სცდება, ვინც ვინმეს სიფიცხეს უქებს!  
ვინც ითმენს, ისიც არაა ბრძენი!  
საქმე მაშინდა იქნება უკეთ,  
ვითაა, როცა შეიგნებს ბევრი!



## გაგულიშვილის პასუხი ქართველთაგან 9

ზვიად გამსახურდია – ანდრეი სახაროვს

**კეთროვან  
ნაციონალებს  
„გვარნი“ პარტიების  
მიერთებით იმიჯი  
არ შეეცვლება!**



**„სტოპაქვიდების“  
ზეობა  
აჰ, მერია, მერია, როგორ არა გრცხვინია?!**

**ტრაპისტების  
გაგარჯვება ქართველი  
საზოგადოებისთვის  
შოკი იქნება**

**ახალგორში  
ქონების  
წართმევა  
მოგვებიანი  
ბიზნესია**

**მონუმენტური  
სახეობა  
ვასილ  
ბარნოვისა**



© ვაი, სირცხვილო!

# „სტომაქოზიდების“ ზეობა

### ეპ. მარია. მარია. როგორ არა ბრძანდებიან?!



ძმების სახელების, სახლების ნუმერაციის, გარე რეკლამების და, ზოგადად, საზოგადოებრივი დანიშნულების ნარწერების საკითხი თბილისში (და არა მარტო დედაქალაქში) სრულიად მოუწესრიგებელი (და, ზოგჯერ შეურაცხმყოფელიც და საზიზნოც) რომაა, ამას ყველანი კი ვხვდებით, თუმცა რეალობა ისაა, რომ ყველანი ერთნაირად არ აღვიქვამთ.

აბა, სხვაგვარად როგორ უნდა შევავსოთ ქვეყნის ქალაქებში დღესდღეობითაც შემორჩენილი უამრავი ისეთი პირის სახელობის ქუჩები, რომელთა ვინაობის განმარტება ან არავის შეუძლია, ანდა ის იმდენად ოდით უფროა, რომ სათქმელადაც არ ღირს. ახლა ერთი ქუჩის ორი კაცის სახელობის მონაკვეთად „მონათვლის“ პრაქტიკაც ვთქვათ – ნუთუ სხვა გზა არ არის, რომ ქუჩა – თავიდან ბოლომდე – ერთი კაცის სახელობისა იყოს? ანდა სახელების არევა ავიღოთ: მაგალითად, ცოტა ხნის წინათ ლერმონტოვის ქუჩას ლორთქიფანიძის სახელი დაერქვა, თუმცა ში კი ეს გარემოება უმეტესწილად სრულიად უგულვებლყოფილია.



მაგრამ ყველაზე დიდი საყვედური გარე რეკლამების შემქმნელთა, განსაკუთრებით კი, მათი საჯაროდ წარმოჩენის დამშვევთა მიმართაა სათქმელი, რის უაღრესად აღმაშფოთებელი მაგალითი თბილისის ქუჩებში ახლახან გამოჩნდა. მხედველობაში გვაქვს რამდენიმე სვლაგეზის სამარშრუტო ტაქსებზე ლუდისა და ხინკლის რეკლამა, რომლებსაც „რეკომენდაციას“... თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი დიდი ივანე ჯავახიშვილი უწევს, რომლის სახელს საქართველოს ეს პირველი უმაღლესი სასწავლებელი, სიამაყით ატარებს და თვალისჩინივით უფრთხილდება.

მაგან შემიკვიტეთა და ლუდის მხარშველთა ეს ყოველგვარ მამულიშვილურ სულისკვეთებას მოკლებული სამარცხვინო „რეკლამა“ ასეთად, ცხადია, ყოველთვის დაარჩებოდა, მაგრამ, სადმე „კულისებში“, რომ არა მისი გასაჯაროების ნებადართვები, რომლებიც, როგორც ჩანს, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასი უნდა ვეძიოთ. ამ თემას, რომელსაც ჩვენი გაზეთი კრიტიკული წერილით „დიდი ივანე ჯავახიშვილს თურმე ხინკალი და ლუდი „ნაყვარება“... (09.04.2016 წ. №66) გამოეხმაურა, იქნებ ასე მოკლე დროში არც დავზუნებოდით, რომ არა რედაქციაში შემოსული აუარებუა ზარი, ჯერ თავად ამ უზნეო ფაქტს, შემდგომ კი ჩვენს რეაქციას რომ მოჰყვა. უამრავმა გულმოსულმა თბილისელმა დაგვირეკა, რომლებიც ისევე, როგორც ჩვენ, უაღრესად ალაშფოთა საკუთარი ქიხისა და სტომაქის ამოვსებას დახამებულ ვაჭრუკანათა უმსგავსო საქციელმა. ერთმა შუა ხნის მამაკაცმა, მობილური ტელეფონით გადაღებული სურათებიც მოგვითანა რედაქციაში, რომლებსაც „სტომაქშიდების“ ზეობა დავარქვით.

იმედია, ჩვენი პუბლიკაციებისა და მოქალაქეთა მიერ გამოთქმული აღშფოთების შემდეგ მაინც მოეგებიან გონის ისინი, ვისაც დედაქალაქში თუნდაც რეკლამის განთავსება და ამის თაობაზე ცოტაოდენი ჭკუა მაინც მოეკითხება.

ოთარ ტურაბალიძე

„ეროვნული ფორუმი“  
საპარლამენტო  
თანამდებობებს  
ტოვებს



„ეროვნული ფორუმის“ წევრები საპარლამენტო პოსტებს ტოვებენ. შესაბამისი მიმართვა ბიუროს გუშინდელ სხდომაზე უკვე შევიდა. გუბაზ სანიკიძე ვიცე-სპიკერის პოსტს, სოლო ანი მიროტაძე შალვა კიკნაველიძე და თემურ მაისურაძე კომიტეტების მოადგილეთა თანამდებობებს ტოვებენ.

„რესპუბლიკალები“  
სახალს იხვლიან



„რესპუბლიკური პარტია“ ფრაქციის სახელწოდებას იცვლის – ფრაქციას არა ქართული ოცნება-რესპუბლიკელები, არამედ უბრალოდ „რესპუბლიკელები“ ერქმევა. განცხადება ფრაქციის თავმჯდომარემ დავით ბერძენიშვილმა გააკეთა – „პარლამენტში ფრაქცია „რესპუბლიკელები“ იმოქმედებს ამ სახელით და ოპონირების რეჟიმში. ჩვენი განცხადების შესაბამისად დღეს დავიწყებულ პროცედურები ფრაქციის სახელწოდების შეცვლის შესახებ,“ – განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

## NDI-ის პირაუბაპული კითხვები



NDI-ის კვლევის შედეგებს საპარლამენტო უმრავლესობაში აფასებენ. მმართველი გუნდის ნაწილი ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შესახებ მოსაზრებას არ იზიარებს – „ეკონომიკაში ის პრობლემა არსებობს, რომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დასაქმების მიმდინარეობას, თუმცა დასაქმებულთა რაოდენობა გასულ პერიოდთან დაკავშირებით, გაზრდილია. რაც შეეხება 2012 წლის შემდეგ იგივე მდგომარეობაში ვართ და უკეთესს ვერ ვგრძნობთ, ეს არასწორად დასმული კითხვაა და პასუხიც არასწორია. 2012 წლის შემდეგ სოფლის მცხოვრებნი უკეთეს მდგომარეობაში არიან“ – აცხადებს ზურაბ ტყემალაძე.



## მოსკოვი შვიისარის თბილისში რუსეთის საკონსულოს თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდას სთხოვს



ამის მიზეზად იგი რუსეთის ვიზებზე მოთხოვნის გაზრდას ასახელებს. განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გააკეთა: „მკვეთ-

რად გაიზარდა ვიზებზე განაცხადის რაოდენობა, ამიტომაც ჩვენ გვსურს შევიცარიელი კოლეგებისგან მხარდაჭერა, რათა თბილისში მდებარე ჩვენი საკონსულოს შტატი რამდენიმე თანამდებობით გაეზარდოს“, – განაცხადა სერგეი ლავროვმა შევიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრ დიდიე ბურკჰალტერთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

## მიხაილ სააკაშვილი, უსაქლოა, უკრაინის პრაზიდენტის ადვინისტრაციის უფროსად დანიშნონ...



გამოცემის ცნობით, პრემიერ-მინისტრ არსენი იაცენიუკის გადადგომის შემდეგ მინისტრთა კაბინეტში, უსაქლოა, ცვლილებები განხორციელდეს, თუმცა, ახალ მინისტრთა კაბინეტში, რომელსაც როგორც დაგეგმილია, უმაღლესი რადას სპიკერი ვლადიმერ გროისმანი უხელმძღვანელებს, დიდი ალბათობით შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი, იუსტიციის მინისტრი პაველ პეტრენკო და კულტურის მინისტრი ვიჩესლავ კირილენკო პოსტებს შეინარჩუნებენ. როგორც გამოცემა წერს, სავარაუდოდ, შეიცვლება ფინანსთა მინისტრი ივან მიკლოში, დეპუტატი ივა-

უკრაინის პრეზიდენტის ადვინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტი, შესაძლოა, ოდესის გუბერნატორმა, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიკავოს. ამის შესახებ „უკრაინის-კაია პრავდა“ წერს.

ნა კლიმპუშ-ცინცაძე კი, ევროინტეგრაციის საკითხებში ვიცე-პრემიერის პოსტზე გადაინაცვლებს.

## ნინო სურგულაძე „ოპარის ოსკარის“ მფლობელი გახდა

ძართველი მეცო-სოპრანო ნინო სურგულაძე იტალიური საოპერო გამომცემლობის მიერ დაარსებული „ოპერის ოსკარის“ მფლობელი გახდა. კონკურსში სახელწოდებით „GB ოსკარ ოპერისა და ბალეტის სრულყოფილება“ ნინო სურგულაძემ ნომინაციაში – საუკეთესო მეცო-სოპრანო გაიმარჯვა. კონკურსში შეიდი გამარჯვებული გამოვლინდა, ისინი 17 მაისს დაჯილდოვდებიან.



THE WASHINGTON POST

გაგზავნიან ამერიკული გამოცემის „ვაშინგტონ პოსტის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიას...



ტრამპის ბაზრზე პარტიული საზოგადოების შოკი იქნება

დონალდ ტრამპის ამასწინანდელმა რიტორიკამ „ნატოს მოძველება“...

ერთ-ერთი ასეთი ქვეყანათაგანი საქართველოა. ეს 4,5-მილიონიანი მოსახლეობის მქონე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა...

ლობით, რომლებსაც კვლავ საზღვრების აღდგენა სურთ, მიგრანტების მიღების წინააღმდეგ...

რა მოხდება, თუ ტრამპის ტიპი გაიმარჯვებენ?

„ცხადია, ეს იქნება შოკი ქართველი საზოგადოებისათვის“ - მითხრა საქართველოს პრეზიდენტმა...

როგორც სტატიის ავტორი ნათქვამი, გიორგი მარგველაშვილი აცნობიერებს საქართველოს წინაშე მდგარ დილემას...

აჩქებენ დიდ მნიშვნელობას იმ როლს, რომელიც ნატომ პოსტსაბჭოთა პერიოდში შეასრულა...

ჰოდა, ასეთ შემთხვევაში დონალდ ტრამპისა და მისი მხარდამჭერების გამარჯვება...

ნები (რომ არაფერი ვთქვათ უკრაინასა და საქართველოზე), რუსეთის აგრესიის რისკის ქვეშ დგებიან...

დონალდ ტრამპს და მის მომხრეებს შეიძლება ასეთი დანაკარგი ნაკლებად ალერსობით...

საქართველო იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორია ერთმანეთთან დაკავშირებული ნატოში...

დონალდ ტრამპის რიტორიკამ ბიძგი მისცა საქართველოს პრორუსული პოლიტიკური ძალების...

ამირან კარაძე, ნუსპრესი.

წინასაარჩევნო ფაქტობრივობები



რომელ პარტიას აქვს პარლამენტში მოხვედრის შანსი და განდება თუ არა საგარეო ორიენტაცია...

რამდენად საფუძვლიანია პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ რამდენიმე ოლქში მეორე ტურის გაიმართება...

ერთადერთი, რაც შეიძლება ვთქვათ, რატომ ახლა და რატომ არა ერთი თვის წინ, მაგრამ თავისთავად დავით უსუფაშვილის განცხადება...

მაშინ იყო 30%-იანი ბარიერი, რაც დემოკრატიულ ნორმებს უგულვებელყოფდნენ. ვინაიდან, საარჩევნო ოლქში 30%-იანი ზღვარის გადალახვის პირობებში...

არჩევნების თარიღის 6 თვით ადრე გამოცხადებით, დაირღვა თუ არა კანონი?

ხელისუფლებას ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება. პრეზიდენტმა წინადადებით მიმართა პრემიერ-მინისტრს...

პირიქით, დაიშვა პრეცედენტი, რომ ბევრად უფრო ადრე ცხადდება საგარეო თარიღი. ყველასთვის ცნობილი იყო...

კითროვან ნასიონალებს „მკვლარი“ პარტიების მიერთებით იმიჯი არ შეეცვლება!

„ქართულ ოცნებას“ ყველანაირი შანსი აქვს, დაეუფლოს საკმაოდ დიდ წარმომადგენლობას

პოლიტიკური პარტია, ოქტომბრის თვე არ წარმოადგენს პოლიტიკურად აქტიურ თვესო.

მაგრამ თარიღი ასევე მიუღებელია „თავისუფალი დემოკრატებისთვისაც“...

„თავისუფალ დემოკრატებს“ რა თარიღი ან ყოვთ? 9 თუ 11 ოქტომბერი? 11 ოქტომბერი რომ ყოფილიყო, იტყვიან...

თავისთავად, საინტერესოა, როგორ და რა პირობებში წარიმართება არჩევნები. მაგალითად, გია ხუხაშვილი ამბობს...

სამწუხაროდ, შეიძლება, გამოჩნდეს ისეთი კონფიგურაცია, რომელიც დაამსხვრევს ამ წინასაარჩევნო ბრძოლის რუკას...

რომელ პარტიას აქვს პარლამენტში მოხვედრის შანსი? „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“...

ვის უფალი დემოკრატები“, „რესპუბლიკური პარტია“ და „პატრიოტთა ალიანსი“...

რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას, იგივე „ახალი მემარჯვენეები“, „ევროპული დემოკრატები“...

აბსოლუტურად გამოვიტყვავთ ლეიბორისტებს. ეს არის მარგინალური პარტია, რომელიც სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის ნება-სურვილით ასრულებს...

ცნობილია, რომ „ოცნების“ სიის პირველი ნომერი იქნება პრემიერ-მინისტრი...

ბუნებრივია, რომ გიორგი კვიციანი უნდა იყოს პირველი და, ბუნებრივია, რომ, ალბათ, მეორე უნდა იყოს დავით სერგეენკო...

როგორც წესი, პარტიების მთავარი გზავნილი არის საგარეო ორიენტაცია. ამ შემთხვევაში დაირღვევა ეს ტრადიცია...

ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა და ამ შემთხვევაში მედიაც არის პასუხისმგებელი. არის რეალური პრობლემები, რაც ან უხებს მოსახლეობას და ყველა ნორმალურ ქვეყანაში...

ესაუბრა თამაზ ძარჩავა













# სინანულით აღვნიშნავ, რომ თქვენ, დიდი ფიზიკოსი, ყოველთვის აკლენდით განსაცვიფრებელ გაუთვითსწრობიერებებს კავკასიის საკითხებში...

## ზვიად გამსახურდიას პასუხი ანდრეი სახაროვისადმი აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით



გიორგიის ანბანი, რასაც დღეს აყვავებენ მოსკოველი და აფსუელი ცრუ-მეცნიერები საქართველოსგან მისი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მონვევების საძრახის მიზნით. და დღეს თქვენ ბანს აძლევთ იმ ფალსიფიკატორებსა და იმპერიალისტებს, რომელთაც გუშინ ამხილებდით სხვა დანაშაულებისათვის.

რა გაუნყოფა, რაკი თქვენ ერწმუნეთ მითს, რომლის მიხედვითაც ქართველები არიან აფხაზეთის დამპყრობნი, რადგან ის საქართველოს ფარგლებში მოუქცევიათ, გირჩევთ ერთხელ, როდესაც სოხუმი იქნებოდა დასასვენებლად, მცირედი ექსკურსია მოაწყოთ მდინარე ბესლეთის ხეობაში (ჭანბას ქუჩაზე), სადაც ნახავთ XII საუკუნის თამარ მეფის მიერ აგებულ სიხლს. იქ არის ფილა შემდეგი წარწერით: „სიხლზე შემორჩენილია ქართული წარწერა მთავრული ასოებით“. მაგრამ სიტყვა „ქართული“ წაშლილია, დარჩენილია მხოლოდ სიტყვა „წარწერა“. საკითხავია, ვინ წაშალა?

ძართულ პრესასა და ინტერნეტ-სივრცეში გაჩნდა ამერიკის ელჩის რიჩარდ ნორლანდის გამონათქვამი ქართველების მიმართების თაობაზე აფხაზეთთან და ოსებთან, რაც ელჩმა ქართველებთან რუსების დამოკიდებულებას შეადარა.

მსგავსი თვალსაზრისის გასაჯაროება ეთიკის დარღვევისა და პოლიტიკის ანბანის უგულვებლყოფის მაგალითი გახლავთ, რადგან ეთნიკურ დამოკიდებულებათა ურთიერთშეფარება მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების პარტნიორის გადალახვის შემდეგ არის შესაძლებელი. ქართველები რუსებს კი არ უჩივიან, არამედ საქართველო უჩივის რუსეთის იმპერიისგან ხელყოფასა და მიწების ანექსიას. ხოლო, ქართველები ანალოგიურ ქმედებას აფხაზეთისა და ოსების მიმართ ვერ ჩაიდენენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიწები საქართველოს სახელმწიფოებრივი კუთვნილებაა და ამ მიწებზე ჩამოსახლებულ ადამიანებთან ქართველთა დამოკიდებულებასა და რუსებისაგან დაპყრობილ სახელმწიფოსთან ურთიერთობებს შორის ტოლობის ნიშანი ვერ დაისმება.

რიჩარდ ნორლანდის გამონათქვამს დიდი მსგავსება აქვს აკადემიკოს ანდრეი სახაროვის ბრალდებასთან საქართველოს მიმართ, რომელსაც ის „მცირე იმპერიას“ უწოდებდა.

თავის დროზე ყურნალ „ოგონიკი“ (№ 31, 1989 წ.) დაიბეჭდა მისი ინტერვიუ, სადაც ის მოდიფიცირებული საბჭოთა კავშირისათვის განახლებულ ერთობას მოითხოვდა. აი, რას სთავაზობდა ის ყოფილ რესპუბლიკებს:



„მე ვიძლევი კონფედერაციის წინადადებას. ყველა რესპუბლიკას – მოკავშირესაც და ავტონომიურსაც, ავტონომიურ ოლქებს, ნაციონალურ ოკრუგებს უნდა მიეცეთ თანაბარი უფლება ამჟამინდელი ტერიტორიული საზღვრების შენარჩუნებით. ყველა მათგანმა უნდა მიიღოს დამოუკიდებლობის მაქსიმალური ხარისხი. მათი სუვერენიტეტი მინიმალურად უნდა იქნეს შეზღუდული ერთობლივი თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის, ტრანსპორტის, კავშირ-გაბმულობის საკითხებით...დანარჩენში ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და ასე უნდა მოაწერონ ხელი ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას...“

უნდა დავიწყოთ იმპერიული სტრუქტურის სრული დემონტაჟით. მხოლოდ ასე შეიძლება ნაციონალური პრობლემის გადაჭრა მცირე იმპერიებში, როგორცაადაც არსებითად გვევლინებიან რესპუბლიკები – მაგალითად, საქართველო, რომლის შემადგენლობაშიც მოქცეული არიან აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეროვნული წარმონაქმნები. თუკი საქართველოთი დაიწყო და რსფსრ-ში იგივეს არ გავაკეთებთ, წარმოიქმნება დიდი სირთულეები, ხოლო თუ კონფედერაციად გადაკეთება მოხდება მთელ უზარმაზარ ქვეყანაში, საქმე გაიოლდება...“

ამ ე.წ. სამართალდამცველს გამანადგურებელი პასუხი გასცა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც გაზეთ „მეჩენი ტბილისში“ დაიბეჭდა რუსულ ენაზე სათაურით: „ობიექტურობის ხარისხი – ღია წერილი ანდრეი სახაროვის“.

წერილი, შესაძლოა, პირდაპირ რუსულად იყოს დაწერილი, ან – ზვიად გამსახურდიასვე ეთარგმნა რუსულად. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მის ორიგინალს ვერ მივაკვლიეთ – გაგებდეთ და მოკრძალებით ვთარგ-

მნეთ რუსული ენიდან. შესაბამისად, თუ ნაკლს რასმე შენიშნავს მკითხველი, ეს ჩვენი გაუწავლავი მთარგმნელობითი ხელოვნების ბრალი იქნება. ამდენად, ქვემოთ გთავაზობთ ზვიად გამსახურდიას სახაროვისადმი მიწერილი პასუხიდან ჩვენს მიერ თარგმნილ იმ ფრაგმენტს, სადაც სწორედ საქართველოს თაობაზეა საუბარი (georoyal.ge):

„...თქვენ ჩაერთეთ ანტიქართულ კამპანიაში და საქართველო გამოაცხადეთ „იმპერიად“, რომელმაც თითქოსდა თავის შემადგენლობაში გაიერთიანა აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეროვნული წარმონაქმნები („ოგონიკი“ №31). სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ თქვენ, დიდი ფიზიკოსი, რატომღაც ყოველთვის ავლენდით განსაცვიფრებელ გაუთვითსწრობიერებებს კავკასიის ისტორიისა და ეტიოლოგიის საკითხებში. მაგალითად, 1973 წელს თქვენი ეგვიპტე გამოშვალა არაოფიციალური თვითგამოცემის ყურნალმა „მომდინარე მოვლენათა ქრონიკა“ („ХРОНИКА ТЕКУЩИХ СОБЫТИЙ“) გამოაქვეყნა წერილი „თურქი მესხთა მოძრაობა სამშობლოში დასაბრუნებლად“. არადა, თურქი მესხები ისევე არ არსებობენ ბუნებაში, როგორც შოტლანდიელი ჩინელები. ეს ტერმინი მოგონილია ქართველ მუსულმანთა წრის გაუნათლებელი, ბნელი ადამიანების მიერ, რომლებიც ვერ არჩევენ რელიგიასა და ეროვნებას ერთმანეთისაგან – თავს თვლიან თურქებად მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მუსულმანები არიან. მაგრამ თქვენ, მეცნიერი, აკადემიკოსი ხომ უნდა გარძობდეთ ამ განსხვავებას, ან დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მაინც ჩაგხედათ.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ჩვენ თქვენ და მოსკოვის პელაგინის ჯგუფს წარმოგიგონებ ცნობა მესხების, როგორც ქართული ტომის თაობაზე, რომზადებული მიკლუსო-მაკლავის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ, რის შედეგადაც შეიქმნა მოსკოვის პელაგინის ჯგუფის ცნობილი დოკუმენტი „მესხთა მდგომარეობის შესახებ“.

ახლა კი თქვენ იგივეს აგრძელებთ. თქვენს მიერ „ოგონიკი“ გაკეთებული განცხადებით დაამტკიცეთ, რომ არ იცით ტერმინ „აფხაზეთის“ მნიშვნელობა და არც ის, თუ რა მიმართება გააჩნია მას ტერმინ „საქართველოსთან“. რათა არ შეგანწყინოთ თავი სხვადასხვა ისტორიკოსის ნაშრომთა ციტირებით, კვლავ დავეგრძნობთ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიას: „ჩვენს წელთაღიგნებამდე პირველი ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყო ადგილობრივი ეთნიკური ტიპის ჩამოყალიბება. აფხაზეთი მაშინ კოლხიდის, ერთ-ერთი უძველესი ქართული სახელმწიფოს, ნაწილს შეადგენდა“. ასე რომ, როგორც ხედავთ, აფხაზეთი ძველთაგანვე საქართველოს ნაწილი იყო. კიდევ მეტი, აფხაზეთად იწოდებოდა დასავლეთ საქართველო, ზოგჯერ – მთელი საქართველოც, როგორც, მაგალითად, ნიზამი განჯელის ცნობილ პოემა „ისკანდერ ნამეში“ (XII ს.), სადაც აფხაზეთის (საქართველოს) დედაქალაქად დასახლებულია ტფილისი. ასე რომ, აფხაზეთი საქართველოს მეორე სახელია, ისევე როგორც ალბიონი – მეორე სახელია ინგლისის.

თუმცა ახლანდელ დროში „აფხაზეთს“ არასწორად უწოდებენ ჩერქეზთა მონათესავე აფსუთთა ჩრდილოეთ-კავკასიურ, ადიღურ ტომს, რომელიც XVII საუკუნიდან იპყრობს ისტორიული აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილს, ახდენს იქ მცხოვრებ ქართველთა ასიმილირებას და მკვიდრდება.

აი, ვის უწოდებენ დღეს აფხაზეთს, როგორც ეგვიპტელ არაბებს – ეგვიპტელებს, ან პალესტინელ არაბებს – პალესტინელებს. ყოველივე ეს არის ისტორიისა და

# სამაჩაბლო, ანუ სამხრეთ ოსეთი რუსეთთან შეერთების საკითხს აგვიტოვდა გაღანყვაძს

მ.წ. სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის დე ფაქტო პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის განცხადებით რუსეთთან შეერთების საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმი აგვისტომდე ჩატარდება. ამის შესახებ თიბილოვმა რუსულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა. მისივე განცხადებით რეფერენდუმის საკითხი სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციაში იმ მუხლის შესწორებას მიეძღვნება, რომელიც მომავალში ოკუპირებულ რეგიონს მისცემს შესაძლებლობას რუსეთს მათ შემადგენლობაში შესვლის თხოვნით მიმართონ.





ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საქართველოს არსებული ქონების უპირატესი საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

Table with 8 columns: Lot No, Description of property, Area (sq.m), Plot No, Area (sq.m), Price (Lari), Bid (Lari), Bidder's Name (Lari). Contains two lots (№1 and №2) for land parcels.

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- a. შევსებული განაცხადი;
ბ. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა;
ვ. სადამფუძვლებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამენარმო რეესტრიდან;
ზ. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას;
თ. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

გამზავალი ალექსანდრე შათირიშვილი

მიმდინარე კვირას საქართველოში წვიმიანი ამინდია მოსალოდნელი

12-17 აპრილს საქართველოში მოსალოდნელი ამინდის შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტო ინფორმაციას ავრცელებს: 12-13 აპრილს საქართველოში მოსალოდნელია წვიმიანი ამინდი. 14 - 17 პრილს ზოგიერთ რაიონში გამოიძარება, ზოგან კი იწვიმებს. ჰაერის ტემპერატურა 12-17 აპრილს იქნება +17, +22 გრადუსი.

კვლევაზე დადასტურებული სტრატეგია

ტრანსპორტის სფეროში დედაქალაქში არსებული პრობლემების შესწავლის მიზნით შინამეურნეობების კვლევა ჩატარდება. კვლევას 2016 წლის აპრილ-ივნისში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი თბილისის მერიასთან შეთანხმებით ჩაატარებს. აღნიშნული კვლევის შედეგად შეიქმნება საინფორმაციო ბაზა მგზავრნაკადებისა და გადაადგილების კორიდორების შესახებ. კვლევის შედეგების ანალიზით შესაძლებელი გახდება, ნათლად გამოიკვლიოს პრობლემები და დაისახოს გზები ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. კვლევას ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შერჩეული ერთობლივი საწარმო „სისტრა“ (საფრანგეთი) და „გორბი“ (საქართველო) კარდაკარ გამოკითხვის მეთოდით.

ნათვალ. აქი გზას ვაპირებდით?

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ სოფელ ჩალაუბანში 4 კმ-იანი რეაბილიტირებული გზა დაათვალიერეს.



აღნიშნული გზა 70-იანი წლების შემდეგ არ შეკეთებულა, რის გამოც ის მწყობრიდან იყო გამოსული და სოფლის მოსახლეობას გადაადგილების პრობლემებს უქმნიდა. პროექტის ფარგლებში, 4 კმ-იანი ამორტიზებული გზას სრული რეაბილიტაცია ჩატარდა. დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი, მოწყოფილია საწინააღმდეგარსები, მოსახლეობისთვის გაკეთდა ეზოში შესასვლელი. პროექტის ღირებულება 950 675,00 ლარია და მუნიციპალური განვითარების ფონდში ის მოფლიო ბანკის დაფინანსებით განახორციელდა. სამშენებლო სამუშაოზე 40 ადამიანი იყო დასაქმებული. გზის რეაბილიტაციის შედეგად ჩალაუბანის 1200 მოსახლე უსაფრთხოდ და კომფორტულად შეძლებს გადაადგილებას.

ბაგაბუში სამგორის რაიონის ბაგაბულის ყოფილი მოადგილე დაჭრას

ურთიერთშეზავრების ნიადაგზე სამგორის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე ბაბაია ელიზბარაშვილი დაჭრეს. შემთხვევა ბაგაბუში შაბათს საღამოს მოხდა, მას დაზიანებები ცივი იარაღით მიაყენეს, მისი მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. ბრალდებული 2 პირი სამართალდამცავებმა ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება 118 მუხლით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ, მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

წვენი კარავალინი

ერთი წუთი - საკუთარი თავისთვის

თანამედროვე ცხოვრების რიტმის გამო ხშირად ხდება, რომ სანგრძლივი გამაჯანსაღებელი პროცედურებისთვის დრო არ გვრჩება. თუმცა, ამის ერთგვარი კომპენსირება თავისუფლად შეიძლება ორ-სამ წუთში, თუკი შედეგისათა რამდენიმე რჩევას შეასრულებთ.

გაიზომოთ

თუკი ამის საშუალება გაქვთ, ტახტზე წამოწეით ან სავარძელში მოკალათდით. თავდაპირველად მაქსიმალურად მოდუნდით, შემდეგ კი ისე გაიზომოთ, როგორც ამას ახალგაღვიძებული კატები აკეთებენ - ისე რომ ყველა კუნთი იგრძნოთ: დაძაბეთ და მოადუნეთ ბეჭები, გაპარყეთ ხელის თითები, ერთიანად ჯერ დაძაბეთ, მერე კი მოადუნეთ მთელი სხეული.

ორგანიზმზე მოქმედება. მოდუნებული კუნთები ელასტიკურობას აღიდგენენ, რის შედეგად ოსტეოქონდროზის, კისრისა და ფეხების ტკივილის წარმოშობის საფრთხე შემცირდება.

ღრმად ჩაისუნთქეთ და სუნთქვა შეიკავით დადებით ფანჯარასთან და ყუ-

რადლება მხოლოდ სუნთქვაზე გაამახვილეთ. შესუნთქვით ისე შეისუნთქეთ, როგორც მოგეხერხებათ, მაგრამ ჰაერი ნელა ამოუშვით, რისთვისაც ტუჩები მილივით მოამრგვალეთ.

ვარჯიში სამჯერ გაიმეორეთ, სასურველია ერთსა და იმავე დროს, საუზმის შემდეგ, ან სადილამდე.

ორგანიზმზე მოქმედება. ესაა ფილტვების საუკეთესო ვარჯიში, რომლის შემდეგ, დახუთული ოთახში ყოფნის დროსაც კი, უანგბადის უკმარისობას აღარ განიცდით, ხოლო თუ გაცივების შემდეგ აბეზარი ხველა დაგჩემდათ, ის შეგიმცირდებათ.

თვალეზი მარტად დასუთი

ეს რამდენჯერმე გაიმეორეთ, რის შემდეგ უბრალოდ დახუჭული თვალეზით იჯექით. თვალეზის დახუჭვა-გახელაზე 15-20 წამი დაგჭირდებათ. პროცედურას მეტი დრო არ მოანდომოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ზედ-

მეტი ნაოჭები გაგიჩნდებათ. ორგანიზმზე მოქმედება. ესაა მხედველობის საუცხოო ვარჯიში, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დიდ დროს კომპიუტერთან ატარებს. მისი წყალობით დუნდება თვალის შიდა და თვალეზის მიმდებარე კუნთები, ასევე იხსნება სახისა და კისრის კუნთები.



გაიკეთეთ თავის მასაჟი

ამ პროცედურის ჩატარება უმჯობესია ორივე ხელით, თან ძალის დატანება მაინცდამაინც საჭირო არ არის, თუმცა კი, შიგადაშიგ შეიძლება თავს თითები მსუბუქად დააჭიროთ.

ორგანიზმზე მოქმედება. ერთი - ასეთი მასაჟი თმას ამაგრებს, რადგან მისი ძირების სისხლით მომარაგებას უწყობს ხელს. მეორე - მოდუნების შესაძლებლობას უწყობს: სტრესების შედეგად ჩვენ წარბებს ვკრავთ, კბილებს ერთმანეთს ვაჭერთ, ჰაერს ვისუნთქავთ, რაც თავის ქალის კუნთებს ჭიმავს, რომელთა მოდუნება მთელ ორგანიზმს უხდება. შესაბამისად დადებითი შედეგი კი ის გახლავთ, რომ ესაა შაკის შეტვის დაწყებამდე პირველი სამედიცინო დახმარება. ხოლო თუ თავი არ გტკივთ, ამის გაკეთება გასამსხვევლად შეგიძლიათ, რადგან ჭიქა ყავაზე არანაკლებად ეფექტურია.

მოამზადა დალი სუნდაძე

